



„საერთაშორისო აკადემია ლოგოსი“

სახელი, გვარი

თარიღი.....2019 წელი

IX კლასი

(40 ქულა)

(10) გიორგი ლეონიძე - „ჩვენი ჭერამი“

I იორზე, ვენახში, დიდი ჭერამი გვედგა, - შებუთქული, დახუნძლული.

II თუ თავდაპირველად იგი ჩემი საყვარელი ხე იყო, მერე მხოლოდ სევდას იწვევდა ჩემში, თან რაღაც ზიზღსაც კი. მერე ისე გაიარა ჩემმა ბავშვობამ, ზედ ერთხელაც აღარ ავსულვარ, აღარც მისი ტოტი დამირხევია. თითქოს ნაწყენი ვიყავი ამ ხეზე, გვერდით გავუვლიდი, ზედ არ შევხედავდი. მერე დაბერდა, გახმა, წაიქცა. არცა მწყენია, თითქოს კიდევაც გამიხარდა. გულში მაქვს ერთი მოგონება, თორემ უმიზეზოდ რად მოვიძულელებდი ნაადრევი ხილით გამხარებელ ხეს?

III მაშინ კახეთის რკინიგზა გაჰყავდათ. გზა ჩვენს ივრის ვენახებზე გადიოდა. მალე დაიწყო ჯოჯოხეთური მუშაობა. მექანიზმები მაშინ არ ჰქონდათ და ხელით ებრძოდნენ სალიანდოგო სათხრელ მიწას. დიდძალი მუშა ტრიალებდა: ქართველები, სომხები, რუსობაც ბევრი იყო. ივრის მწვანე ჭაობნარი საწყალ მუშებს უხვად ასაჩუქრებდა ციებ-ცხელებით, სიცხე სუნთქვას აგუბებდა, სახეს სწვავდა თონის ალმურივით. მუშას სასმელი წყალიც კი არ ჰქონდა, მღვრიე ივრის გარდა. ავად ხდებოდნენ იქვე მიწაზე ეყარნენ. პატრონი ვინ იყო? ზემდგომები უყვიროდნენ, აგინებდნენ, ხოლო ქედწახრილი მუშები უსიტყვოდ ასრულებდნენ მათ ბრძანებას. მათი ერთადერთი იმედი, გახარება და გასართობი ივრის ვენახების ხილი იყო, ჩვენი ვენახიც ხომ ზედ ივრის პირას იდგა!

IV უთვალავი ხეხილი ზედ გზის პირას იდგა ლალ-ზურმუხტისფრად, მაგრამ არცერთ მუშას არასოდეს უკადრია ხილის მოპარვა. მხოლოდ ფულის შემოდლევა კი იცოდნენ. გლეხებს ეხათრებოდათ ფულის აღება და ისე შესთავაზებდნენ ხოლმე, მაგრამ მუდამ ხომ არ შეიძლებოდა თავაზა? და აი, თითქოს მიწიდან ამოცვივდნენ ვაჭრუკანები, დაერივნენ ჩვენს ვენახებს და თვითეული ხე ძალითა თუ ნებით შეისყიდეს, რათა მერე ერთი ათად გაეყიდათ მუშებზე.

V ერთი ხეც კი აღარ დარჩა სადმე ბავშვების პირის ჩასატკბარუნებლად. ხეხილის მსხმოიარობით გახარებული საწყალი ბავშვი მიადგებოდა უხვად დასხმულ ხეს, მაგრამ უეცრივ მოაგონდებოდა სასტიკი სიტყვა „გაყიდულია“. ქურდულად მიიხედ-მოიხედავს ბავშვი, - მერე რა მსხალია?! მაგრამ დიდედას მუხლქვეშ გაზრდილებს ქურდობისა ემინოდათ, თან ყურში ჩაესმოდათ ის სიტყვები, ვაჭარმა რომ დაავედრა მათ მამებს ათშაურაიანის



მიცემისას: „აბა, გაბრო, ამ დასხმულ ხეს შენ გაბარებ. ასევე უნდა დამახვედრო, ბავშვებმა არ მომიკრიფონ“.

VI შეიკრა, გაიფიცა ბავშვების წინაშე ივრის ხეხილი. ვის გაეგონა წინათ ხილის აკრძალვა? მთელი ივრის ხილი ხომ ჩვენი იყო. ჩიტებივით დავნავარდობდით ტოტებზე ბალღები, ახლა კი მთელი ივრის ბაღნარები ჩვენთვის მოკვეთილი აღმოჩნდა. ამ მოულოდნელმა რისხვამ დაგვამუნჯა. მეტად მოულოდნელი და შემზარავი იყო. გულზე ჯანლად დაგვედო.

VII მე ერთი ვიყავი იმედიანად, მე ხომ მქონდა იორზე საკუთარი ხელუხლებელი ჭერამი? ჰოდა, ჩემს ფეხშიშველა მეგობრებს ჩავიყვანდი ხოლმე ჩვენს ვენახში ჭერმის საჭმელად. და აი, ერთ კვირა დილას ჩავცვივდით იორზე - მთელი უბნის ბალღობა მყავდა დაპატიჟებული. მაგრამ იცით რა მოხდა?! შორიდანვე დავინახე, ჩვენს ჭერამთან იდგა ვაჭარი მელქო, გოდრებით აკიდებული ცხენი იქვე ეყენა და გულმოდგინედ კრეფდა ჩემს ჭერამს. თურმე დედაჩემს ჩვენი ჭერამიც გაეყიდა: ცოდონი არიან მეზობლის ბავშვები, რომ მარტო შენ გქონდეს ხილიო. გადმომცა სამი ვერცხლის აბაზიანი, შენი საყვარელი წიგნები იყიდეო.

VIII მართლაც ვიყიდე ორიოდ წიგნი, მაგრამ მალე შემძულდნენ ის წიგნებიც და მათი დამწერნიც. აი, რა მიზეზი იყო, რომ ჩვენი ჭერამი მხოლოდ სევდას და სიძულვილს იწვევდა ჩემში. იგი სასტიკად მოექცა ჩემს უდარდელ ბავშვობას, მისმა მსხმოიარე ტოტებმა დაჩხვლიტეს, დაკბინეს ჩვენი ბავშვური უზრუნველობა.

შემოხაზეთ სწორი პასუხები, ან წერილობით უპასუხეთ კითხვებს:

1. (1) II აბზაცის მიხედვით, რომელია მართებული?
 - ა) ჭერამზე ბიჭი საერთოდ არ ასულა;
 - ბ) ბიჭმა ჭერამი უმიზეზოდ მოიძულა;
 - გ) ბიჭს ჭერამი ისე უყვარდა, რომ მასზე ასვლას ვერ ბედავდა;
 - დ) ჭერმის მიმართ დამოკიდებულება რაღაც მიზეზის გამო შეიცვალა .

2. (1) როგორ დაასათაურებდით III აბზაცს?
 - ა) რკინიგზის გაყვანა;
 - ბ) ივრის ჭაობები;
 - გ) მუშების იმედი;
 - დ) უფასო ხილი.

3. (1) როგორ აფასებს ავტორი ვაჭრების საქციელს?
 - ა) ხალისიან ბიზნესად;
 - ბ) სხვისი გასაჭირით სარგებლობად;
 - გ) პატიოსან საქმიანობად;
 - დ) თავაზიან ქმედებად.

4. (1) რატომ არ იპარავდნენ ბავშვები აკრძალულ ხილს?
 - ა) მამებს უფროთხილდებოდნენ;
 - ბ) ვაჭრის სიტყვები ახსენდებოდათ;



- გ) დიდედების დარიგებები ახსენდებოდათ; დ) სამივე ჩამოთვლილი ვარიანტი.
5. (1) როგორ იმოქმედა ბავშვებზე აკრძალვამ?
- ა) ხილის აკრძალვის მწუხარებამ დაამუნჯა ისინი; ბ) არც კი განუცდიათ;
- გ) გაბრაზდნენ თავიანთ მშობლებზე; დ) ხილის ჭამა შესძულდათ.
6. (1) ტექსტის მიხედვით, რატომ გაუყიდა ბიჭს დედამ ჭერამი?
- ა) მისი დასჯა სურდა;
- ბ) ჭერამი ნაყოფს აღარ იხამდა;
- გ) არ სურდა თავის შვილს ვინმეზე მეტად ეგრძნო თავი;
- დ) გაბრაზდა, ბავშვებს რომ აჭმევდა ბიჭი ჭერამს.
7. (1) როგორ შეიცვალა ბიჭის ჭერმის მიმართ დამოკიდებულება?
- ა) სინანული - მწუხარებით; ბ) სიყვარული - ზიზღით;
- გ) იმედგაცრუება - ნდობით; დ) სიუცხოვე - შეჩვევით .
8. (1) რატომ შესძულდა ბიჭს წიგნები?
-

9. (1) ტექსტის მიხედვით, ასე ძლიერ რატომ იმოქმედა ავტორზე ჭერმის ამბავმა?
- ა) ბავშვობის შესახებ ერთადერთი ცუდი მოგონება იყო; ბ) ვერ აიტანა საკუთრების გასხვისება;
- გ) ამ ამბავმა დაარღვია უზრუნველი ცხოვრების რიტმი; დ) ვაჭრები მანამდეც სძულდა;
10. (1) რა შეიძლება იყოს ტექსტის მთავარი სათქმელი?
- ა) ბავშვობა განუმეორებელი და ხელშეუხებელია; ბ) ვაჭრები არაპატიოსანი ხალხია;
- გ) ხილი ბავშვებისთვის აუცილებელია; დ) ხილის ქურდობა დანაშაულია.

(10) შეასრულეთ მითითებული დავალებები

მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით:

1. (1) სიტყვა მკვებარას სინონიმი:
ნიკოს მეგობარი ჰყავს.
2. (1) სიტყვა პატიების სინონიმი:
ზოგ კაცს უჭირს.
3. (1) სიტყვა უვარგისის სინონიმი:
ინსტრუქცია სრულიად გამოდგა.
4. (1) სიტყვა კომიკურის ანტონიმი:



გუშინ ამბავი მაცნობა ჩემმა მეგობარმა.

5. (1) სიტყვა ხშირის ანტონიმი:

ჩემი სტუმრობა მეტად მახარებს.

6. (1) განმარტეთ გული გაუსივდა:

ა) დაიბოღმა; ბ) გაუხარდა; გ) ესიამოვნა.

7. (1) განმარტეთ კლვზი ნაცარში ჩაუვარდა:

ა) ხელი მოითხო; ბ) ხელი შეუშალა; გ) ხელი მოეცარა.

8. (1) რას ნიშნავს თმა ყალყზე დაუდგა:

ა) შეშინდა; ბ) მეტისმეტად გაბრაზდა; გ) ადვილად მოტყუვდა.

აირჩიეთ სწორი ფორმები:

9. (1) ყმამ მეფის დაარღვია.

ა) მცნება; ბ) ცნება.

10. (1) ერმა თავისი არ შეასრულა

ა) აღქმა; ბ) აღთქმა.

(10) წაკითხეთ მოცემული ნაწყვეტები და იპოვეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სტილისტური ხარვეზები.

1. (2) ქართველებზე ბევრათ მეტნი იყვნენ ქვეყანის მტრები.

2. (4) გ. ბრწინვალეს 14-ე საუკუნის ყველაზე უჭკვიანეს მეფედ აღიარებდენ.

3. (4) ლევანიმ მისი მეგობრიდან საინტერესო ამბავები მოისმინა მასწავლებლების შესახებ.



(10) არგუმენტირებული ესსე

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ უფროს და მოზარდ თაობებს შორის აუცილებლად უნდა იყოს დაპირისპირება.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას, ან უარყავით

გაანალიზეთ არჩეული თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა გაამყარეთ არგუმენტებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული. დაიცავით ენობრივი ნორმები.

ნაშრომი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.





სწორი პასუხები

წაკითხულის გააზრება 1 ქულიანი კითხვები:

კითხვა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
პასუხი	დ	გ	გ	დ	ა	გ	ბ	ჭერამს ახსენებდნენ	გ	ა

ლექსიკა-ფრაზეოლოგია

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ბაქია	მიტევება	გამოუსადეგარი	ტრაგიკული	იშვიათი	ა	გ	ბ	ა	ბ

ტექსტის რედაქტირება:

1 შეცდომა 1 ქულა

1. (2) ქართველებზე ბევრად მეტნი იყვნენ ქვეყნის მტრები.
2. (4) გიორგი ბრწინვალეს მე-14 საუკუნის უჭკვიანეს მეფედ აღიარებდნენ.
3. (4) ლევანმა თავისი მეგობრისგან საინტერესო ამბები მოისმინა მასწავლებლების შესახებ.

ესსეს შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	10 - 6 ქულა	5 -1 ქულა	0 ქულა
სათქმელის ნათლად, მკაფიოდ ჩამოყალიბება	მოსწავლე ნათლად აყალიბებს მოსაზრებას. საკუთარ	მოსწავლეს უჭირს საკუთარი გასაგებად ჩამოყალიბება. აზრის	მოსწავლე ვერ აყალიბებს საკუთარ აზრს.



მსჯელობის არგუმენტირება	აზრის განსამტკიცებლად მოხმობილია ადეკვატური არგუმენტები.	აზრის განსამტკიცებლად მოყვანილია სუსტი არგუმენტები.	აზრის განსამტკიცებლად ვერ იშველიებს არგუმენტებს.
ნაშრომის სტრუქტურა	ესსეს სტრუქტურა დაცულია და მის ნაწილებს შორის არის ლოგიკური ბმა.	ესსეს სტრუქტურა ნაწილობრივ დაცულია, თუმცა მის ნაწილებს შორის არ არის ლოგიკური ბმა.	ესსეს სტრუქტურა დარღვეულია.
ენობრივი ნორმების დაცვა	ნაშრომში დაშვებულია 5 ან ნაკლები ენობრივი შეცდომა.	ნაშრომში დაშვებულია 5-დან 10-მდე ენობრივი შეცდომა.	ნაშრომში დაშვებულია 10-ზე მეტი ენობრივი შეცდომა.